ბიზნესსაქმიანობის შედეგები გამოქვეყნებულია პრესრელიზის სახით ბიპი-ს შესაბამისი სამართლებრივი ერთეულების მიერ. თითოეული ერთეული, თავისი როლის შესაბამისად, როგორც ოპერატორი ან მმართველი, აქვეყნებს ბიპი-ს მოპოვების, ძიების და ტრანსპორტირების მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა ბიზნესების საქმიანობის შედეგებს აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქთის რეგიონში. ინფორმაცია და განცხადებები მოცემულია მხოლოდ იმ შესაბამის ბიზნესთან დაკავშირებით, რომელსაც თითოეული ასეთი ერთეული მართავს ან ოპერირებს.

ინფორმაცია ბიზნესსაქმიანობის შესახებ
2025 წლის შედეგები

2026 წლის 12 თებერვალი

<u>აზერი-ჩირაგ-გუნაშლი (ACG)</u>

ACG-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (30.37%), SOCAR (31.65%), MOL (9.57%), INPEX (9.31%), ExxonMobil (6.79%), TPAO (5.73%), ITOCHU (3.65%), ONGCVidesh (2.92%).

ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი ACG-ის ოპერატორია, ACG-ის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების სახელით.

2025 წლის განმავლობაში, ACG-ის საქმიანობის ფარგლებში, ბიპი-ს და მისი პარტნიორების საოპერაციო დანახარჯი დაახლოებით 564 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო კაპიტალური დანახარჯი კი 1,288 მილიონი აშშ დოლარი იყო.

წარმოება

2025 წლის მანძილზე ACG-მ გააგრძელა უსაფრთხო და საიმედო წარმოება. ACG-მ წლის განმავლობაში საშუალოდ დღეში 330,000 ბარელი ნავთობი აწარმოა. (ჯამში 120 მილიონი ბარელი ანუ 16 მილიონი ტონა) შემდეგი პლატფორმებიდან: ჩირაგიდან (21000 ბ/დ), ცენტრალური აზერიდან (90,000 ბ/დ), დასავლეთ აზერიდან (76,000 ბ/დ), აღმოსავლეთ აზერიდან (43,000 ბ/დ), გუნეშლის ღრმაწყლებიდან (51,000 ბ/დ) და დასავლეთ ჩირაგიდან (24,000 ბ/დ) და ACE-დან (25,000ბ/დ).

2025 წელს აზერი-ჩირაგ-გუნაშლიმ ორი მნიშველოვანი მიღწევა აღნიშნა. 18 თებერვალს ცენტრალური აზერის პლატფორმიდან პირველი ნავთობის წარმოების 20 წლისთავი იზეიმა. პლატფორმას დღესაც წამყვანი როლი აკისრია საბადოს წარმოებაში და ჯამში დღემდე უკვე 1.2 მილიარდი ბარელი (157 მილიონი ტონა) ნავთობი აწარმოა. წლის მიწურულს, 30 დეკემბერს, დასავლეთ აზერის პლატფორმამაც აღნიშნა პირველი ნავთობის წარმოებიდან 20 წლისთავი, და ჯამში 1 მილიარდ ბარელ ნავთობზე მეტი აწარმოა (142 მილიონი ტონა).

2025 წლის ბოლოს, 147 ჭაბურღილი აწარმოებდა ნავთობს, აქედან 49 ჭაბურღილი წყლის და ათი კი გაზის ინიექციისათვის იყო გამოყენებული.

ბურღვა და პროექტების დასრულება

2025 წლის განმავლობაში ACG-მ ნავთობის მწარმოებელი 10 ჭაბურღილის, ოთხი წყლის ინიექციის და ერთი გაზის ჭაბურღილის მოწყობა დაასრულა.

ასოცირებული გაზი

წლის განმავლობაში, ACG-მ აზერბაიჯანის სახელმწიფოს საშუალოდ დღეში 8 მილიონი კუბური მეტრი ასოცირებული გაზი მიაწოდა (ჯამში 2.7 მილიარდი კუბური მეტრი). ძირითადად სანგაჩალის ტერმინალზე, ამასთანავე სოკარის ნავთობის ქანების ობიექტზე. წარმოებული ასოცირებული გაზის ნარჩენის რეინიექცია განხორციელდა რეზერვუარში წნევის შესანარჩუნებლად.

არა-ასოცირებული გაზი

2024 წელს ACG პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულების დანართის ხელმოწერის შემდეგ, დაიგეგმა და უსაფრთხოდ მოეწყო პირველი ჭაბურღილი, ორი პრიორიტეტული რეზერვუარიდან გაზის მისაღებად. ჭაბურღილის მოწყობა არსებული დასავლეთ ჩირაგის პლატფორმიდან განხორციელდა. ამ

ჭაბურღილის მოწყობა მნიშვნელოვანია, რადგან ის წარმოებასთან ერთად შეფასების საშუალებასაც იძლევა, რაც განვითარების გეგმებს დაედება საფუძვლად. ამჟამად მიმდინარეობს მზადება რეზერვუარიდან პირველი გაზის მისაღებად 2026 წელს.

<u>სანგაჩალის ტერმინალი</u>

2025 წლის მანძილზეACG-ის და Shah Deniz-ის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობი და გაზი ზღვისქვეშა მილსადენებით სანგაჩალის ტერმინალისკენ მიედინებოდა.

ტერმინალს ამჟამად დღეში 1.2 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობის და კონდენსატის გადამუშვება და შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული დაახლოებით 81 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი გაზის გადამუშვება შეუძლია. თუმცა საერთო ჯამში ტერმინალის გაზის გადამუშავების და ექსპორტის სიმძლავრე, ACG-ს ასოცირებულ გაზთან ერთად დაახლოებით დღეში 100 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრია.

წლის განმავლობაში სანგაჩალის ტერმინალმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით დაახლოებით 209 მილიონი ბარელი ნავთობის და კონდენსატის ექსპორტი განახორციელა.

გაზის ექსპორტი ხორციელდება სამხრეთ კავკასიის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების სისტემის და აზერბაიჯანის გაზის მილსადენების საშუალებით, რომელიც სანგაჩალის ტერმინალის გაზის გადამამუშავებელ მოწყობილობებს აზერიგაზის ეროვნულ გამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს.

2025 წლის განმავლობაში, სანგაჩალის ტერმინალიდან ექსპორტზე დღეში საშუალოდ 74.4 მილიონ სტანდარტული კუბური მეტრი (დაახლოებით 2,628 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი) შაჰ-დენიზის გაზი გადიოდა.

<u>ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC)</u>

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის (BTC Co.) აქციონერები არიან: bp (30.10%), SOCAR (32.97%), MOL (8.90%), TPAO (6.53%), Eni (5.00%), TotalEnergies (5.00%), ITOCHU (3.40%), ONGCVidesh (3.10%), ExxonMobil (2.50%) and INPEX (2.50%),

2025 წლის განმავლობაში, BTC-ს საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი დაახლოებით 131 მილიონ აშშ დოლარი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი 98 მილიონ აშშ დოლარი.

1768კმ სიგრძის მილსადენმა 2006 წლის ივნისში ფუნქციონირების დაწყებიდან 2025 წლის ჩათვლით ჯამში 4.7 მილიარდი ბარელი ნედლი ნავთობი გაატარა (619 ტონაზე მეტი). 6,145 ტანკერი დაიტვირთა და გაიგზავნა მსოფლიო ბაზრებზე.

2025 წლის განმავლობაში, დაახლოებით 207 მილიონი ბარელი (27 მილიონი ტონა) ბი-თი-სი-ს მიერ ექპორტირებული ნედლი ნავთობი ჯეიჰანის ტერმინალზე 283 ტანკერში ჩაიტვირთა.

შაჰ-დენიზი

Shah Deniz-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (operator – 29.99%), LUKOIL (19.99%), TPAO (19.0%), SGC (16.02%), NICO (10.0%) და MVM (5.00%)

2025 წლის განმავლობაში, ბიპი-ს და მისი პარტნიორების საოპერაციო დანახარჯმა შაჰ-დენიზის პროექტში 2,315 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალური დანახარჯი 1,087 მილიონი აშშ დოლარი იყო, მათ შორის უმეტესი შაჰ-დენიზ 2-ის პროექტთან იყო დაკავშირებული.

წარმოება

2025 წლის გამავლობაში შაჰ-დენიზის საბადომ განაგრძო გაზის მიწოდება ბაზრებისთვის აზერბაიჯანში (სოკარისთვის), საქართველოში (საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციისთვის), თურქეთში (ბოტაშისთვის) და კომპანია ბი-თი-სი-სთვის სხვადასხვა ლოკაციებზე და მყიდველებისთვის ევროპაში.

2025 წლის განმავლობაში, საბადომ ჯამში დაახლოებით 27 მილიარდი სტანდარტული კუბური მეტრი გაზი აწარმოა და დაახლოებით 4 მილიონი ტონა (დაახლოებით 32 მილიონ ბარელი) კონდენსატი შაჰ-დენიზ ალფა და შაჰ-დენიზ ბრავო პლატფორმებიდან.

შაჰ-დენიზის არსებული მოწყობილობების საწარმოო სიმძლავრე ამჟამად დღეში 77 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრ გაზზე მეტია, რაც წელიწადში 28 მილიარდ კუბურ მეტრს აღემატება.

პროექტი შაჰ-დენიზ 2

2025 წლის მეოთხე კვარტალში, შაჰ-დენიზ 2-ის პროექტმა უსაფრთხოდ განაგრძო წყალქვეშა სამუშაოების განხორციელება აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგის დარჩენილი ჭაბურღილებიდან.

ბურღვა

2025 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში, შაჰ-დენიზის ალფა პლატფორმაზე ბურღვის დამატებითი სამუშაოები ჩატარდა.

საბურღი დანადგარების საშუალებით საერთო ჯამში 23 ჭაბურღილის ბურღვა დასრულდა. დასრულებულ ჭაბურღილებში შედის ხუთი ჭაბურღილი ჩრდილოეთის ფლანგზე, ხუთი დასავლეთის, ოთხი აღმოსავლეთ-სამხრეთის, ხუთი დასავლეთ-სამხრეთის და ოთხი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგებზე.

სამხრეთ კავკასიის მილსადენი

The SCP Co-ს აქციონერები არიან: bp (29.99%), SGC (21.02%), LUKOIL (19.99%), TPAO (19.00%) და NICO (10.0%).

2025 წლის განმავლობაში, SCPC-ს საოპერაციო დანახარჯი ჯამში დაახლოებით 71 მილიონ აშშ დოლარი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი დაახლოებით 38 მილიონი აშშ დოლარი.

SCP 2006 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და შაჰ-დენიზის გაზს აწვდის აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. მილსადენის გაფართოების პროექტიდან თურქეთისთვის გაზის კომერციული მიწოდება 2018 წლის ივნისში დაიწყო და ევროპისთვის კი 2020 წლის დეკემბერში.

2025 წლის განმავლობაში, SCP-ის გაზის საშუალო გატარება იყო 63.7 მილიონი კუბური მეტრი დღეში.

სხვა პროექტები

შაფაგ-ასიმანი

შაფაგ-ასიმანის საზღვაო ბლოკზე არსებული რესურსების შეფასება და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა მიმდინარეობს.

ყარაბახი და ადუა

წლის მეორე ნახევარში, ბიპი შეუერთდა ყარაბახის ნავთობის საბადოს რისკის მომსახურების ხელშეკრულებას და აშრაფი-დან ულდუზუ-აუფარას საძიებო ტერიტორიის შესახებ პროდუქციის წილობრივი განაწილების არსებულ ხელშეკრულებებს. ბიპი-ს ორივე ხელშეკრულების ფარგლებში 35%-იანი წილობრივი მონაწილეობა და ოპერატორის სტატუსი აქვს. ეს ხელშეკრულებები სოკართან თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებს იძლევიან და კასპიის რეგიონში ნავთობის და გაზის რესურსების განვითარების ყველაზე ეფექტური გზების ძიებას და არსებული ინფრასტრუქტურის საუკეთესო გამოყენებას უწყობენ ხელს.

ადამიანები

2025 წლის ბოლოს კომპანიაში 231 ადამიანი იყო დასაქმებული.

ბი-პი საქართველოს თანამშრომლების 99%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა.

ბი-პი-ს ძალისხმევა მიმართულია თანამშრომლების სწავლების და განვითარების პროგრამების ოპტიმიზაციისკენ. კომპანია ცდილობს წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ტალანტის ბაზრის განვითარებაში და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინიციატივებში.

სოციალური ინვესტიციები

საქართველოში, ისევე როგორც კასპიის რეგიონში, ბი-პი-ს პროექტების წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ოპერატორის შესაძლებლობაზე შექმნას ხელშესახები სარგებელი ამ პროექტებიდან რეგიონის მოსახლეობისთვის. ამის მისაღწევად ბი-პი და მისი პარტნიორები აგრძელებენ მნიშვნელოვანი სოციალური ინვესტიციების პროექტების განხორციელებას, მათ შორის განათლების დარგში, ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების გაზრდის, და მოსახლეობისთვის სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით, მცირე ბიზნესის წამოწყების და მისი განვითარების

ხელშეწყობისთვის, დაფინანსების და ტრენინგების საშუალებით. ასევე კულტურული მემკვიდრეობის და სპორტის ხელშეწყობის და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ტექნიკური მხარდაჭერის საშუალებით.

2025 წლის განმავლობაში ბი-პი-მ და პარტნიორებმა, (რომლებიც იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერები არიან, რომელთა ოპერატორიც ბი-პი-ა), საქართველოში სოციალური ინვესტიციის პროგრამების და პროექტების განხორციელებაზე 45,000 აშშ დოლარი დახარჯეს. ამ წლის მანძილზე გაგრძელდა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის განხორციელება სამივე მილსადენის, (ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და სამხრეთ კავკასიის მილსადენი), გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ამასთანავე 2025 წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სოციალური ინვესტიციების და სასპონსორო პროექტების განხორციელებაზე დაიხარჯა 125,700 აშშ დოლარი. დაფინანსდა და განხორციელდა სხვადასხვა პროექტები. მათ შორის, სოფლის მეურნეობის ბიომრავალფეროვნების მიმართულებით ენდემური ჯიშის მარცვლეულის აღდგენა/გავრცელება.
ჩვენი წვლილი შევიტანეთ გარემოსდაცვითი/ბიომრავალფეროვნების და ტურიზმის განვითარების პორექტებში. განათლების მიმართულებით წარმატებით დასრულდა სერტიფიცირებული ინგლისური ენის კურსი მედიისთვის.

საქართველოში განხორციელებული სოციალური ინვესტიციების პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია: www.bpgeorgia.ge